ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1657900

ნომერი: AR1273924

თარიღი : 17.12.2014

გაცემის თარიღი : 23.12.2014

გაცნობის თარიღი : 25.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კანდელაკი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ლატარია პ/ნ 01024007767
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობები წარმოადგენს თანასაკუთრებას და დაფიქსირებულია წილობრივი მონაცემები, რითაც ვერ კონკრეტდება ზუსტად რა ფართის მფლობელი ხართ, სად მდებარეობს თქვენი წილი და აღნიშნული წილობრივი მონაცემები არ არის გამიჯნული, შესაბამისად წარმოსადგენია ყველა თანამესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" ველში ან თანამესაკუთრეები შესაძლებელია დაარეგისტრიროთ თანაგანმცხადებლად.
წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც წილების ნაცვლად იქნება დაფიქსირებული კონკრეტული ფართები და მასთან ერთად ანაზომი დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ტექ. ბიუროდან, მასზე თქვენს საკუთრებაში (და ამ ეტაპისათვის საპროექტო) ფართის მონიშვნით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.